მორბენლის საკავშირო დღე — სიჯანსაღის დღესასწაული!

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 176 (7237)

12 1982 წ. სექტემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სტარტზეა ახალი ტრადიცია

ჩვენს ფიზკულტურულ კალენდარში ახალი დღესასწაული გამოჩნდა — მორბენლის საკავშირო დღე.

... ორიოდე თვის წინ „სოვეტსკი სპორტის“ რედაქციამ სვერდლოვსკის ქარხანა „ურალმაშის“ მუშა-მოსამსახურეთა წერილი მიიღო. კორესპონდენციის ავტორები რედაქციას თხოვდნენ მხარი დაეჭირათ მათი ინიციატივისთვის მორბენლის საკავშირო დღის დაწესების თაობაზე. „რატომ ავირჩიეთ მაინცდამაინც რბენა? — წერდნენ ურალმაშელები, — იმიტომ, რომ ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის ეს არის ყველაზე უბრალო, ხელმისაწვდომი და ეფექტური საშუალება“. „სოვეტსკი სპორტმა“, ბუნებრივია, „მწვანე გზა“ მისცა სვერდლოვსკელთა ამ თაოსნობას, რომელმაც მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. შემუშავდა ტიპიური დებულება და გადაწყდა, რომ 12 სექტემბერს მთელს ჩვენს ქვეყანაში — ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ოლქში, ქალაქსა და სოფელში, წარმოება-დაწესებულებაში, სკოლაში, პროფტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებელში გამართულიყო მორბენლის საკავშირო დღე.

და აი, საერთო-სახალხო ფიზკულტურული დღესასწაულის ჟამიც დადგა. დღეს ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანას გადასერავს „ჯანმრთელობის ბილიკი“ — სტარტზე გამოვა მილიონობით საბჭოთა ადამიანი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არასდროს, არც ერთ მასობრივ ფიზკულტურულ ღონისძიებას არ გამოუწვევია ასეთი აჟიოტაჟი, ასეთი ინტერესი.

ჩვენი რესპუბლიკაც გულდაგულ ემზადებოდა ამ დღისთვის. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, ადგილებზე შემუშავდა ღონისძიებათა ფართო პროგრამა. ერთი სიტყვით, ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მორბენლის საკავშირო დღემ მაღალ დონეზე ჩაიაროს, მაგრამ მთავარი მაინც შენზეა დამოკიდებული ჩვენო მკითხველო და გულშემატკივარო. თუ შენ პირადად არ დადგები სარბენ ბილიკზე, გვერწმუნე, დღევანდელ დღესასწაულს რაღაც დააკლდება. გახსოვდეს, რომ შენ მთავარი მოქმედი პირი ხარ. გამოდი ქუჩაში, სტადიონზე, პარკში, გაირბინე შენთვის ხელმისაწვდომი მანძილი. იმას რაღა სჯობს, თუ ხვალ და ზეგ კვლავ დადგები სტარტზე და ფიზკულტურას ცხოვრების თანამგზავრად გაიხდი. ერთსაც ნუ დაივიწყებ: მოიპატიჟე შენი ნაცნობი, მეგობარი, ოჯახის წევრი — ერთად სირბილი ხომ გაცილებით სასიამოვნოა.

რბენით იწყება ჩვენი პირველი ნაცნობობა სპორტის სამყაროსთან. რბენით იწყება ოლიმპიური თამაშებიც: ოლიმპოს მთაზე ანთებულ ცეცხლს რჩეული ათლეტები ხელიდან ხელში გადასცემენ და ოლიმპიადის დედაქალაქისაკენ მიაქვთ. რადგან თამაშები ვახსენეთ, გავიხსენოთ ოლიმპიადის დევიზიც: „მთავარია მონაწილეობა და არა გამარჯვება“. ჩვენი დღევანდელი ზეიმის მიზანიც ხომ ეს არის. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენ მეტრსა და კილომეტრს გაირბენ, პირველი მიხვალ ფინიშთან თუ უკანასკნელი. მთავარია სხვებთან ერთად დადგე სტარტზე და რბენა ყოველდღიურ მოთხოვნილებად გექცეს.

მაინც რა მანძილი უნდა გაირბინო? ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ზოგადი რეკომენდაცია მოგცეთ. თუ თქვენ აქამდე არასდროს გირბენიათ, მაშინ დასაწყისისთვის 6-7 წუთი სირბილი საკმარისია. თუ ყოველ დილით 30-40 წუთს ვარჯიშობთ, მაშინ თამამად შეგიძლიათ ერთსაათიანი გარბენი (10 კილომეტრამდე) მოაწყოთ. გამოცდილმა მორბენლებმა და რბენის მოყვარულთა კლუბის წევრებმა უკვე იციან თავიანთი ნორმა. თავს ძალას ნუ დაატანთ და პირველობაზე ნუ იფიქრებთ, მთავარია რბენა თქვენთვის სასიამოვნო იყოს და ხელი შეუწყოს თქვენი ჯანმრთელობის განმტკიცებას. საამისოდ, წელიწადში ერთი გარბენი, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია. მხოლოდ რეგულარული, სისტემატური მეცადინეობა იძლევა სასურველ შედეგს. ამის საშუალება კი, დაგვეთანხმებით, ყველა ჩვენთაგანს აქვს. კონსულტაციისათვის შეგიძლიათ სპეციალისტებს, ექიმებს, გამოცდილ მორბენლებს მიმართოთ, ან რბენის მოყვარულთა კლუბში გაერთიანდეთ.

ყოველთვის გახსოვდეთ ბრძენი ადამიანის ნათქვამი: „ვინც არ დარბის, როცა ჯანმრთელია, მოუწევს სირბილი, როცა დაავადდება“.



დღევანდელ ღონისძიებათა სქემატური გეგმა. ისრებით აღნიშნულია გადარბენის მარშრუტები.

12 სექტემბერი მორბენლის საკავშირო დღე

„ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე“,

ანუ რეპორტაჟი მძლეოსნურ გადარბენაზე

ორჯონიკიძე-თბილისი

მთები რას უშლის მეგობრობას. პირიქით! კავკასიონი ხომ იმთავითვე აკავშირებდა ქართველ და ოს ხალხებს, აღულაბებდა მათ მარადიულ ძმობას.

ეს სიტყვები მზიურ ველზე წარმოითქვა სოფელ ჩმისთან, 22 კილომეტრით რომაა დაშორებული ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრს — ორჯონიკიძეს. ოსი და ქართველი ხალხების, ორი რესპუბლიკის სპორტსმენთა იმპროვიზირებული, მაგრამ მეტად გულთბილი შეხვედრა გაიმართა ამ დღეს პატარა ოსურ სოფელ ჩმის გზასაყარზე.

მოკავშირე რესპუბლიკების დროშები, დინამოელთა ალმები, ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი მოცეკვავენი — ჩოხოსნები და მანდილოსნები, პიონერები, სპორტსმენები გულთბილად შეხვდნენ ქართველ სტუმრებს.

„უალიბახ“ — ტრადიციული სამი ნამცხვრით (ჩვენი ხაჭაპურის მსგავსია) შემოგვეგებნენ მასპინძლები „თერგდალეულთ“, მერე სახელდახელოდ გაშლილ სუფრებთან მიგვიპატიჟეს. დამხვდურთა შორის იყო ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე სოლთან ფიეგოვი, რომელიც გულთბილად მიესალმა სტუმრებს — გადარბენის მონაწილეებსა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ სახელგანთქმულ სპორტსმენებს ნინო დუმბაძესა და ელენე გოკიელს, ვლადიმერ სვეტილკოსა და ვიქტორ სანეევს. აქვე იყო შესანიშნავი ოსი სპორტსმენი — თავისუფალი სტილის მოჭიდავე, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი სერგეი ძარასოვი, რომელიც ამჟამად „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობს. მან გაიხსენა შეხვედრები საჭიდაო ხალიჩაზე ჩვენს არსენ მეკოკიშვილთან, ოთარ კანდელაკთან, ოთარ შინჯიკაშვილთან, შალვა მღინარაძესთან, მოიკითხა თავისი ძველი მეგობრები ვახტანგ ბალავაძე და გოგი სხირტლაძე, გივი კარტოზია, დავით ციმაკურიძე და მირიან ცალქალამანიძე.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს, ცხენოსან მრავალჭიდელს

(გაგრძელება მე-2 გვ.)

მთელი საბჭოთა ხალხი ჯანმრთელობის ბილიკებზეა

12 სექტემბერი მორბენლის საკავშირო დღეა

„ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე",

ანუ რეპორტაჟი მძლეოსნურ გადარბენაზე

ორჯონიკიძე-თბილისი

დასასრული

ჩერმენ ბუკულოვს, რომელიც ოსურ ენაზე მიესალმა მასპინძლებს.

ცეკვა-თამაში გრძელდებოდა. გოკიელმა მართლაც ახალგაზრდული შემართებით ისე მოხდენილად შეასრულა ოსური ცეკვა, რომ დამხვდურთა ნამდვილი აღტაცება გამოიწვია.

— ასე რომ გვცოდნოდა, სპეციალურ პრიზს დავაწესებდით „სიმდის" საუკეთესო შემსრულებლისათვის, — ხუმრობდნენ მასპინძლები.

შეხვედრა ბარე ერთ საათს გაგრძელდა და სამახსოვრო სურათის გადაღებით დამთავრდა. ერთობლივად დავიძარით ორჯონიკიძისაკენ.

...ორჯონიკიძეში შესვლისას ნაცნობი ავტომანქანა წამოგვეწია. დავით ყიფიანი! დიახ, შესანიშნავი ქართველი ფეხბურთელი ჩვენთან ერთად მოდიოდა თბილისიდან, მაგრამ გზაში ჩამოგვრჩა, მანქანის ძრავამ უმტყუნა ანანურის მისადგომებთან.

არ ვიცი, ვის უფრო მეტად გაუხარდა დავითის გამოჩენა — ჩვენ თუ დამხვდურთ? ერთი კია — ყიფიანს ორჯონიკიძის ქუჩებში პირდაპირ გასაქანს არ აძლევდნენ ავტოგრაფების მოყვარულები, ფეხბურთის გულშემატკივრები გაუთავებლად აყრიდნენ კითხვებს, ხოლო სასტუმრო „დარიალში" დაბინავების შემდეგ გამუდმებით რეკდა მისი ტელეფონი და დავითი ბოლოს და ბოლოს (ღამის 1 საათი იქნებოდა) იძულებული გახდა ძალზე მარტივი, მაგრამ ძალზე მოხდენილი „ფინტისათვის" მიემართა — გადაედო ყურმილი, რაც დილამდე მოსვენების სრულ გარანტიას იძლეოდა).

ჯერ კიდევ განელებული არ გვქონდა მომხიბვლელი გზისა (დარიალის ციცაბო კლდეებზე გაშლილი ცხვარი, სამების ეკლესია, ახალმოსული თოვლით შევერცხლილი მწვანე ფერდობები, გალიაში გამომწყვდეული ვეფხვივით მოუსვენარი თერგი, მხოლოდ რომ ეხეთქება ნაპირებს) და გულმხურვალე შეხვედრის შთაბეჭდილებები, რომ მასპინძლებმა ახალი, გაცილებით უფრო ხალხმრავალი შეხვედრა მოგვიწყვეს. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, რომელმაც ორიოდე წელიწადია გადაიხადა ახალმოსახლეობა, მხურვალე ტაშით შეეგება ორჯონიკიძეში ჩამოსულ დინამოელ სპორტსმენებს.

გულთბილ მისალმებებში მასპინძლებმა — რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა ბეკსოლთან ძიოევმა, „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯემალ ქელეხსაევმა, ადგილობრივი სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ ბორის სოკაევმა — აღნიშნეს, რომ დიდი ხანია მომწიფდა ასეთი შეხვედრის ჩატარების იდეა, მაგრამ ამ მხრივ ინიციატივა მაინც სტუმრებს ეკუთვნით, ითქვა ისიც, რომ ისინი ბევრს სწავლობენ ქართველი სპორტსმენებისაგან, რომ ამდენი სახელოვანი ათლეტი ერთად მათ ქალაქში არასოდეს უნახავთ... სტუმრებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ „დინამოს" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ოდიშვილი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნინო დუმბაძე და დავით ყიფიანი, რომლებმაც მასპინძლებს გადასცეს ქართველ დინამოელთა ვიმპელები, სტენდი „ჩვენი დინამოელები ოლიმპიადაზე", თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრების ავტოგრაფებიანი ბურთი.

გვიან ღამემდე გაგრძელდა კონცერტი, რომელიც ამ გულთბილი შეხვედრის შემდეგ გაიმართა. დახვეწილი ხელოვნება უჩვენა თბილისის „მზიურის" უმცროსმა ძმამ — ორჯონიკიძელ პიონერთა ვოკალურ-ინსტრუმენტულმა ანსამბლმა „პატარა ჯიგიტმა" (ხელმძღვანელი ალექსანდრე კუმოვი). ნორჩმა გოგო-ბიჭებმა მოხდენილად შეასრულეს სხვადასხვა ხალხების სიმღერები, მათ შორის მეტად შთამბეჭდავად ქართულ ენაზე — „თბილისური სალამოები". ძალზე ნასიამოვნები დავრჩით, როდესაც შევიტყვეთ, რომ 13-წევრიან ანსამბლში ორი ქართველი გოგონაც მღეროდა — ორჯონიკიძის ქართული საშუალო სკოლის მეექვსეკლასელები ნონა პაპიაშვილი და შორენა ფიცხელაური.

— როდესაც გავიგე, ორჯონიკიძეში ქართველი სპორტსმენები ჩამოდიანო, პირდაპირ სუნთქვა შემეკრა, განსაკუთრებით გამახარა ჩემი საყვარელი ფეხბურთელის ყიფიანის ნახვამ, — გახარებული გვეუბნებოდა 19 წლის ელგუჯა გუზიტაშვილი.

მეჯვრისხეველი ჭაბუკი აქ მეტალურგიულ ინსტიტუტში სწავლობს II კურსზე. კარგი სპორტსმენია — ორჯონიკიძის „სპარტაკში" თამაშობს მარცხენა მცველად. ადრე თურმე „ავაზაში" ვარჯიშობდა მიხეილ მესხთან.

— „სპარტაკში" მუდამ იყვნენ საქართველოს წარგზავნილები. ადრე, როგორც იცით, აქ თამაშობდნენ იგორ ზაზროევი და ნოდარ პაპელიშვილი, ახლა მე და თავდამსხმელი ანდრო სვიანაძე ვართ. — დასძინა მან გამომშვიდობებისას და მორიდებით იკითხა, შემთხვევით „ლელო" ხომ არ წამოგიღიათო?

...ქალაქის დათვალიერება ვერც კი მოვასწარით — უკვე გვიანი იყო. სამაგიეროდ გული საუბრით ვიჯერეთ უკვე ხსენებულ ჯემალ ქელეხსაევთან (იგი თბილისელია, 1955 წელს საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებში თამაშობდა ცენტრალურ მცველად, ერთი წლის შემდეგ კი ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდული პირველობის მესამე პრიზიორი გახდა მოკრივეთა შორის, მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება) და ოლიმპიური ჩემპიონის სოსლან ანდიევის უფროს ძმასთან — სერგო ანდიევთან (ქელეხსაევივით ისიც „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა). გაიხსენეს ის ფაქტი, რომ ზარბეგ ბერიაშვილი სწორედ აქ, ორჯონიკიძეში გახდა ქვეყნის ჩემპიონი, მერე ერთობლივი ძალებით ჩრდილოეთ ოსეთის სხვადასხვა დროის საუკეთესო სპორტსმენები ჩამოვთვალეთ: რესპუბლიკაში პირველი სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის კულაევი — მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ამავე სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონები ალიბეგ ბესტაევი, იური შახმურადოვი, იური გუსოვი და თეიმურაზ ძგოევი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი სოსლან ანდიევი, მსოფლიოს ჩემპიონები გუნდურ ფარიკაობაში ლარისა ცაგარაევა (რაპირა) და ალექსანდრე მოჟაევი (დაშნა), სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონები — ირბეკ ქანთემიროვი (ცხენოსნობა), მძლეოსნები ვლადიმერ კოროევი (სპრინტი) და ალექსანდრე კოჩიერი (400 მეტრი) და ბოლოს, ფეხბურთელები — ბულატ კულოვი (ეს თავდამსხმელი თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკში") და ვალერი გაზაევი (მოსკოვის „დინამო").

...10 სექტემბერს დილიდან საზეიმოდ იყო მორთული ორჯონიკიძის მოედანი და 17 ათასი დაღუპული ჯარისკაცის 30-მეტრიანი ძეგლი. იგი მდებარეობს ქალაქის ყველაზე გრძელ და ფართო ქუჩაზე, რომელიც თბილისის სახელს ატარებს. მთლიანად მწვანე ნარგავებშია ჩაფლული ეს ქუჩა. ამ, ეგრეთწოდებული დასვენების ზონის ორივე მხარეს მრავლად განლაგებულა დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები, სპორტული მოედნები, საწყლოსნო სადგური. სწორედ აქ არის დანიშნული 200-კილომეტრიანი მძლეოსნური გადარბენის სტარტი.

საზეიმო ცერემონიალის მონაწილეებს მიესალმა ორჯონიკიძის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკიმ ძუცევი. ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ იზრაილ კულიევმა სამახსოვრო თასი გადასცა გადარბენის მონაწილეებს. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ე. გოკიელი. ნორჩი პიონერები ლექსით ულოცავენ გზას მძლეოსნებს. სახელოვანი ქართველი სპორტსმენები, გადარბენის მონაწილენი ყვავილებით ამკობენ მამაც მებრძოლთა ძეგლს, გაისმის ცეცხლოვანი „ქართული" — ცეკვავენ გოგო-ბიჭები...

საათის ისრები 10-ს მიუახლოვდა. საპატიო მესტარტე — საქართველოს „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების უფროსი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი მძლეოსნობაში ვახტანგ ცაგარეიშვილი რბენის დაწყების ნიშანს იძლევა, მორბენლის საკავშირო დღისადმი მიძღვნილ გადარბენაში 32 მძლეოსანმა აიღო სტარტი. წინ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევია. მას კვალდაკვალ მისდევენ თბილისის რბენის მოყვარულთა კლუბის „მერანის" წევრები — გადარბენის ყველაზე უხუცესი მონაწილე, 69 წლის შრომის ვეტერანი ნიკოლოზ თომაძე (იგი ყოფილი მფრინავია, ამჟამად თბილისის აეროპორტში მუშაობს დისპეტჩერად), თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის პედაგოგი, 42 წლის აბრამ ბაბურაშვილი და თბილისელი მეცნიერი მუშაკი, 23 წლის მალხაზ გოგბერაშვილი. აგერ გადარბენის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე — თბილისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტი, 17 წლის გია ბალარჯიშვილი, გვერდით ჩაგვიქროლეს სოხუმელმა მორბენლებმა ვალერი ზუხბამ და ომარ პრატიევმა, აჭარელმა სპორტსმენებმა გულოვან ხორავამ და მალხაზ მალაზონიამ, ალან ხარებოვმა და გურამ მჭედლიძემ სამხრეთ ოსეთიდან, ქუთაისელმა მამუკა ქათამაძემ და რუსთაველმა ფიოდორ პორტნოვმა. აი, მასპინძლებიც: თეიმურაზ ცაგარაევი, ვალერი ბაგაევი, გივი ბოლოთაევი, ოლეგ კასტოევი და ვლადიმერ გნიდაში. ესენი კი გადარბენის სტუმრები არიან — შორეული ამურის ოლქის ქალაქ ბლაგოვეშჩენსკიდან ჩამოსული მორბენლები — 27 წლის იური ობედინი და 18 წლის პაველ ვბრვიხვოსტი...

წინ მილიციის ყვითელი მანქანები „გვიკაფავენ" გზას, ავტოინსპექციის თანამშრომლები — უფროსი ლეიტენანტები რომან მარსაგიშვილი და თემურ გვრიტიშვილი, სერჟანტები ოთარ ხახლიშვილი და თემურ კოჭლამაზაშვილი. კოლონას უკან, როგორც წესი და რიგია, სასწრაფო დახმარების მანქანები მიჰყვებიან — „დინამოს" საბჭოს მედსამსახურის უფროსი მალხაზ ხუნწარია (ცოდვა გამხელილი სჯობს: ყველაზე მოხდენილი სადღეგრძელოსათვის ორჯონიკიძელებმა მას ლიტრიანი ბროლის ყანწი უსახსოვრეს), მისი მოადგილე არჩილ ბურჯანაძე, ექთნები თამარ ვაშაკიძე და ოლღა პოლიაშჩენკო. ალბათ, საჭიროა გადარბენის მძღოლებიც მოვიხსენიოთ — მათ ხომ ბევრი გააკეთეს ამ საინტერესო ღონისძიების წარმატებით ჩატარებისათვის: გიორგი ანდღულაძე, გიორგი ენგოიანი, ვლადიმერ გუჩმაზოვი, შალვა ჩიკაშუა და გრიგოლი ბეგიჯანოვი.

...მორბენლებმა მშვიდობიანად განვლეს ბალტა, ჩმი, ქვემო ლარსი. უკან დარჩა 30 კილომეტრი. კავალკადა ალმართს შეუდგა. ოსეთისა და საქართველოს საზღვართან — ზემო ლარსთან, თითქოს ხანმოკლე სტუმარ-მასპინძლობას უჩივისო, ცამ წარბები შეიკრა და ისეთი შხაპუნა გადმოგვასხა, რომ ერთიანად გავილუმპეთ. ახლა „კაპიუშონიანი" კოსტუმები გამოჩნდა ტრასაზე. მაგრამ ეს არ გვაკმარა ბუნებამ და სოფელ ნალვარევთან მიტანებულთ ახლა კარგა ძლიერი სეტყვა დაგვატეხა თავს. კიდევ კარგი მალე გამოიდარა, მზემ გამოაჭყიტა და ჯვრის უღელტეხილს შვიდფერა ცისარტყელა გადაეკიდა. 2.395 მეტრის სიმაღლიდან დაშვება, ცხადია, არ გაგვჭირვებია და შებინდებისას, დაახლოებით საღამოს 8 საათისათვის მორბენლებმა ფასანაურში „არაგვის" ტურისტული ბაზის წინ გამართეს ე. წ. საშუალედო ფინიში. სპორტსმენები სწორედ მაშინ შევიდნენ „არაგვის" ვესტიბიულში, ტელევიზორით „მოამბის" სპორტულ სიუჟეტს რომ უჩვენებდნენ. დამთხვევაც ამას ჰქვია. ეკრანზე გამოჩნდა ორჯონიკიძეში აღებული სტარტი...

...11 სექტემბერს დილაადრიან დასვენებულებმა კვლავ ავიღეთ სტარტი თბილის-ქალაქისაკენ. ბიჭები თითქოს დაღლას არ გრძნობდნენ, ისე გაირბინეს შენაცვლებით 82 კილომეტრი და საღამოს ჟამს თბილისს ჩააღწიეს.

„დინამოს" სტადიონის ტრიბუნები გუშინ საფეხბურთო მატჩის შუალედში მხურვალედ მიესალმნენ გადარბენის მონაწილეებს. ფინიშის საზეიმო ცერემონიალი დაიწყო ველოსიპედისტთა კოლონის სვლით, რომლებსაც სსრ კავშირის სახელმწიფო და მოკავშირე რესპუბლიკების დროშები მოჰქონდათ. ველოსიპედისტებს უკან მიჰყვებოდა მოჩირაღდნე ნორჩი დინამოელი მძლეოსნების თანხლებით.

აი, გამოჩნდნენ „შორი გზიდან მომავლენიც" — 32 მორბენალი, რომლებსაც წინ სახელგანთქმული ვიქტორ სანეევი მიუძღოდა. მორბენლებს შეკრებილთა ტაში გრიალით გადაეცათ სიგელები და პრიზები. გაზეთ „ლელოს" სპეციალური თასი და ვიმპელი დაიმსახურეს გადარბენის ყველაზე „შორეულმა სტუმრებმა" — ბლაგოვეშჩენსკელმა მორბენლებმა.

— კმაყოფილი ვარ, რომ ამ გადარბენამ ასე წარმატებით ჩაიარა, — გვითხრა გადარბენის უფროსმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ვალერიან როგავამ. სასიხარულოა ისიც, რომ მასში ჩვენი რესპუბლიკის მორბენალთა გარდა მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ ოსეთისა და შორეული ამურის ოლქის ქალაქ ბლაგოვეშჩენსკის სპორტსმენები. მისასალმებელია ისიც, რომ დისტანციაზე სხვადასხვა ასაკის მორბენლები გამოვიდნენ — 17 წლიდან 69-მდე. ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობა უნდა გადავუხადოთ ყველას, ვინც კი ასე იზრუნა ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, მათ შორის, ცხადია, გადარბენის უფროსის მოადგილეს ლონდრიკ როსონსკის. გაისად განზრახული გვაქვს ჩავატაროთ გადარბენა თბილისი—გეორგიევსკი, რომელიც ცნობილი „ტრაქტატის" 200 წლის თავს მიეძღვნება. ორჯონიკიძე — თბილისის მეგობრობის ტრასაზე შექმნილი გამოცდილება, ვფიქრობ, დიდად დაგვეხმარება ამაში.

P. S. გადარბენის ერთ მონაკვეთზე (ყაზბეგთან) ამ სტრიქონების ავტორიც შეუერთდა მორბენლებს. კილომეტრნახევარი გავირბინე, მეტი ვერ შევძელი. გვერდით სანეევი მომდევდა. ჯერ მხნევებდა, მერე კი მისთვის ჩვეული იუმორით მითხრა:

— წერა უფრო გეხერხება!..

ჩემთვის ეს სიტყვები ფინიშს ნიშნავდა და... მეც არ დავაყოვნე.

ო. ნოზაძე.
(„ლელოს" სპეც. კორ.).

თბილისი—ორჯონიკიძე—თბილისი.

უმაღლესი ლიგა

გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი.

თბილისის „დინამომ" უმასპინძლა დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" და დაამარცხა იგი ანგარიშით 3:1.

• • •

გუშინ უმაღლესი ლიგის კიდევ ოთხი მატჩი გაიმართა:

„დინამო" კ. — „შახტიორი" 5:0

„ზენიტი" — ცსკა 1:2

„დინამო" მ. — „ნეფთჩი" 2:0

„დინამო" მნ. — „ტორპედო" მ. 0:1

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." თბ.	24	13	6	5	43—33	32
„დინ." მნ.	23	13	6	4	38—23	32
„სპარ."	24	12	7	5	40—21	31
„დინ." კ.	22	10	7	5	35—17	27
„არარ."	24	10	7	7	34—34	27
„მეტალ."	24	10	6	8	28—24	26
„დნეპ."	25	8	9	8	29—32	25
„ზენიტი"	24	8	8	8	30—28	24
„ჩერნ."	23	7	10	6	21—20	24
„დინ." მ.	25	9	5	11	31—33	23
„ფახთ."	23	8	7	8	29—31	23
„ტორ." მ.	24	8	5	11	23—27	21
„ყუბანი"	23	7	7	9	27—31	21
„ნეფთჩი"	24	8	4	12	32—46	20
ცსკა	25	7	6	12	29—37	20
„ქაირ."	23	5	8	10	25—35	18
„ტორ." ქ.	24	5	7	12	30—39	17
„შახტ."	24	5	7	12	26—39	17

* * *

გუშინწინ თბილისის „დინამოს" დუბლიორებმა „დნეპრის" გუნდთან ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: გაბელია (აბუსერიძე), კუდინოვი, ანდღულაძე, დოჩია, არზიანი, კაკილაშვილი (ჯოხაძე), კერესელიძე, ბარათაშვილი, გურული, ფრიდონიშვილი (იაშვილი, ფართალია), მიქაბერიძე.

კურსები ფეხბურთის არბიტრთათვის

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომისიამ გადაწყვიტა ქ. სეგედში მოაწყოს არბიტრთა საერთაშორისო კურსები. მისი მიზანია განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის საფუძველზე ფეხბურთის მსაჯობის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხების შესწავლა.

უნგრელ მსაჯთა გარდა კურსებზე მიიწვიეს ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ავსტრიის, შვეციის, ლაოსისა და თურქეთის არბიტრები.

კიდევ ერთი მომღერალი

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების მცველი ჟუნიორი (ლეოვეგილდო ლინს გამა), თავისი ცნობილი პარტნიორის სოკრატესის მსგავსად, მომღერალი გახდა. მის მიერ შესრულებული სიმღერა „ვუელა, კანარინიო, ვუელა" („იფრინე, კანარის ჩიტო, იფრინე") ბრაზილიაში 200 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით გავრცელდა. ჟუნიორმა ერთ ცნობილ ფირმასთან ხელშეკრულება დადო ხანგრძლივი დაკვრის ფირფიტის გამოცემის შესახებ.



აქტიური, მონდომებული თამაშით...

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 2:0 (1:0). მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 10 სექტემბერი. 10.450 მაყურებელი.

„სპარტაკი": დასაევი (პრუდნიკოვი), სოჩნოვი, პოზდნიაკოვი, შჩერბაკი, რომანცევი, შავლო, კალაშნიკოვი (როდიონოვი), გესი, გავრილოვი, ჩერენკოვი, შვეცოვი.

„ტორპედო": ქანთარია, ჟიბა, ჰილაია, მელიქია, კურტანიძე, ჟორდანია, კორღალიძე (გვაზავა), ჩქარეული, მეგრელაძე, ბურკაძე, კვერნაძე.

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

გოლები: გავრილოვი (პენალტით), ჩერენკოვი.

გაფრთხილებულია შჩერბაკი.

დუბლიორები — 1:0. გოლი გაიტანა რომანოვმა.

ქუთაისელ ფეხბურთელებს, წინა მატჩისგან განსხვავებით, რომელშიც ისინი სატურნირო ცხრილის საზიფათო ზონაში მყოფ მოსკოვის დინამოელებს ხვდებოდნენ, ამჯერად საქმე ჰქონდათ გათამაშების ლიდერთან, რომელიც აშკარად ერთ-ერთ საპრიზო ადგილს უმიზნებს — 7 ტურის განმავლობაში ჯიქურ მიიწევს წინ. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მოსკოველთა თამაში ბაქოს „ნეფთჩისთან", რომელიც მათ „მშრალად" მოიგეს დიდი ანგარიშით — 5:0. ამიტომ, მოსალოდნელი იყო, რომ მასპინძლები კვლავაც დაამტკიცებდნენ თავიანთ მაღალ რეპუტაციას...

მართალია „სპარტაკმა" ამჯერადაც გაიმარჯვა და საჭირო ორი ქულა ჩაიწერა აქტივში, მაგრამ მისი თამაში ამჯერად მოკლებული იყო აგრესიულობასა და დამაჯერებლობას.

აი, როგორ წარიმართა შეხვედრა: მასპინძლები უმალ დაწინაურდნენ. მე-4 წუთზე, ერთ-ერთი პირველი შეტევისას შვეცოვი გავიდა საზიფათო პოზიციაზე და ეს გარღვევა იმით დამთავრდა, რომ ტორპედოელთა კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა გავრილოვმა. ამას სტუმრებმა აქტიური და მონდომებული თამაშით უპასუხეს, ყრუ დაცვაში არ გადასულან, პირიქით მთელი შეხვედრის განმავლობაში ხანგრძლივ იერიშზე იმყოფებოდნენ და არაერთი საზიფათო მომენტიც შეუქმნეს დასაევის კარს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ქუთაისელთა შეტევების მთელი სერია მეორე ტაიმში, მაგრამ მათ ზედიზედ გაუშვეს ხელიდან გოლის გატანის შესაძლებლობა.

„ქუთაისელი ფეხბურთელები, — წერს გაზეთი „სოვეტსკი სპორტი" — მთელი მატჩის განმავლობაში მონდომებით იბრძოდნენ, დაცვაში არ ჩაკეტილან და ცდილობდნენ სულ მცირე შესაძლებლობაც კი გამოეყენებინათ შეტევისათვის". მით უფრო დასანანია, რომ ამ ახალგაზრდა მებრძოლმა კოლექტივმა, რომლის თამაშს, განსაკუთრებით ბოლო მატჩებში, არაერთგზის მიუპყრია სპეციალისტთა ყურადღება, კვლავ დამარცხებულმა დატოვა მოედანი.

შესვენების შემდეგ „ტორპედოს" კარში მეორე ბურთი გაიტანა ჩერენკოვმა, რომელმაც კარგად გამოიყენა შავლოს გადაცემა.

ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი თამაში გვხიბლავს,
გულშიც იმედი ღვივის,
მივანერთ მხოლოდ იღბალს,
ბოლოში რომ ხართ ცხრილის.

მინდორზე ფრთებს რომ
გაშლით,
ეს ფეხბურთია წმინდა,
მაგრამ არ კმარა ტაში,
რადგან ქულებიც გინდათ.

ფეხბურთის დიდ წიგნს
ფურცლავთ,
მინდორზე სპექტაკლს მართავთ,
არ დაგლეოდეთ ფინტი
მეტოქეების კართან.

მისდიეთ თამაშს ქებულს,
ამასაც გეტყვით პირში:
არ უღალატოთ ფეხბურთს,
ძმებო, წაგების შიშით.

წინ დროა კიდევ ბევრი,
ადრე ნუ დაყრით ფარ-ხმალს,
თქვენგან უფრო მეტს ველით,
კოჭებში გამჩნევთ, რაც ხართ.

ვინც ლამაზ ფეხბურთს იცავს,
იმას ეკუთვნის მეტი,
მიდით, ბიჭებო, ფიცხლად,
ბრძოლაში გიწვევთ ბედი!

გიგა მახვილაძე.

10 სექტემბერი.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„ალგეთი" (მარნეული) — „არმაზი" (მცხეთა) 4:2. მსაჯი ვ. ჩუხუა (თბილისი).

გოლები: აზიზოვი (2), თ. ჟუჟუნაშვილი, ბაზაზაშვილი („ალგეთი"), უნდილაშვილი, ქობელაშვილი („არმაზი").

გააფრთხილეს მარნეულელი გ. ჩეჩელაშვილი.

ასკ (თბილისი)— „აბული" (ახალქალაქი) 5:1. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).

არმიელთა გოლები ეკუთვნით ხაჩატურიანს (2), კოსტანიანს, ფირანიშვილსა და ხუდოიანს. სტუმართა გოლი — გ. აკოფიანს.

„სპარტაკი" (თბილისი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 4:0. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი).

2 ბურთი გაიტანა ხეჩოიანმა, თითო — რატიანმა და შონიამ. სპარტაკელმა კაჭახიძემ ვერ გამოიყენა პენალტი.

გააფრთხილეს თბილისელი მ. რატიანი.

„თორი" (ბორჯომი) — „ალგეთი" (მარნეული) 6:0. მსაჯი ა. ბაბასიანი (თბილისი).

ბურთები: კურტანიძე (2), გოგოლაძე, გეგეშიძე, გაჩეჩილაძე, კოჯნაძე (პენალტი).

„დურუჯი" (ყვარელი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი ზ. ზუმბაძე (რუსთავი).

პირველ ნახევარში ზესტაფონელი კამიას მიერ გატანილი გოლი შეხვედრის მეორე ნახევარში გაქვითა ოსაძემ.

„სპარტაკი" (ცხინვალი) — „ავტომობილისტი" (თბილისი) 2:3. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).

მასპინძელთა გოლები ეკუთვნით ბალაევსა და კოკოევს. სტუმართა მხრიდან 2 გოლი გაიტანეს აბრამიანმა და ნარიაშვილმა.

გააფრთხილეს თბილისელი ფეხბურთელები გ. ჰინჭარაული და ა. ჯინჭარაძე.

„კახეთი" (თელავი) — „ივერია" (ხაშური) 1:1. მსაჯი ე. გვარამაძე (რუსთავი).

გოლები: აბდულაევი („კახეთი"), ჯაფარაშვილი („ივერია").

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:1. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე).

პირველ ნახევარში ბოლნისელი ერემიანის მიერ გატანილი გოლი შესვენების შემდეგ პენალტით გაქვითა ჩიქობავამ.

„ქართლი" (გორის რაიონი) — „არმაზი" (მცხეთა) 3:1. მსაჯი ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული).

გოლები: კედელაძე (2 — პენალტით) და ნონიკაშვილი. მცხეთელთა გოლი ეკუთვნის სოლომაშვილს. გორელმა მარუაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი.

გააფრთხილეს გორელი ნოზაძე და მცხეთელი თ. და გ. გულბათაშვილები.

„ავიატორი" (თბილისი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ანგარიში გახსნა რუსთაველმა ალადაშვილმა, რის შემდეგ ინიციატივა გადავიდა ავიატორელთა მხარეს, ჯერ ქარქაშაძემ გაქვითა გოლი, შემდეგ კი ი. ჟორჟიკაშვილმა გამარჯვება მოუტანა „ავიატორს."

გააფრთხილეს რუსთაველი მ. პოხონელიძე (მეორედ).

დასავლეთი ზონა

„მერცხალი" (მახარაძე) — „მექალაქე" (ზუგდიდი) 2:0. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).

ბურთები გაიტანეს ხომაშურიძემ და არჩუაძემ.

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „შახტიორი" (ტყვარჩელი) 1:1. მსაჯი ჯ. ნოდია (თბილისი).

მასპინძელთა გუნდის წევრის თოდრიას მიერ საკუთარ კარში გატანილი გოლი პენალტით გაქვითა მახარაძემ.

მეორე პენალტი კი კუტალაძემ ვერ გამოიყენა.

„მექალაქე" (ზუგდიდი) — „ხალხინო" (გეგეჭკორი) 4:0. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).

ბურთები გაიტანეს ექონიამ (2), ცირდავამ და როგავამ.

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მალაროელი" (ჭიათურა) 0:0. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).

გააფრთხილეს: ჭიათურელი ფეხბურთელები: ო. სამხარაძე, მ. დევიძე, გ. ივანოვი და ჩხოროწყუელი ბ. ქვირკველია.

„სულორი" (ვანი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 5:2. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).

გოლები: ჯ. ვერულაშვილი (2), გ. ვერულაშვილი, ნეფარიძე და სულაბერიძე („სულორი"), ჭითანავა, ძალამიძე („ამირანი").

გააფრთხილეს ოჩამჩირელი ფეხბურთელები გ. გოგოლაშვილი და რ. გუჩუა.

„მზიური" (გალი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

გოლები: ზაქარაია („მზიური"), ხახუბია („შუქურა").

„ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — „სამგურალი" (წყალტუბო) 0:1. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).

ერთადერთი ბურთი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა „სამგურალს", შეხვედრის პირველ ნახევარში გაიტანა ფესტვენიძემ.

„გიგანტი" (ლაითური) — „იმერეთი" (წულუკიძე) 3:1. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).

გოლები: თენეიშვილი, თავბერიძე (პენალტით), ბაქანიძე („გიგანტი"), სილაგაძე („იმერეთი").

„ეგრისი" (ცხაკაია) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:1. მსაჯი ჯ. ჩუხუა (თბილისი).

ბურთები გაიტანეს ხარსევმა (2) და ბალუაშვილმა, სტუმართაგან — გოგოლაძემ.

„დინამო" (ზუგდიდი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

ბურთები გაიტანეს: ნაჭყეპიამ (პენალტით, „დინამო") და ქომეთიანმა („კოლხეთი").

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„თრიალეთი" (წალკა) — „მაშავერა" (დმანისი) 6:3, „მშენებელი" (ჭიათურა) — „ვარძია" (ასპინძა) 1:1, „ქიზიყი" (წნორი) — „ზარზმა" (ადიგენი) 1:3, „გარეჯი" (საგარეჯო) — „გარისი" (თეთრი წყარო) 2:0, „სვიაზისტი" (თბილისი) — „განთიადი" (კასპი) 1:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „მესხეთი" (ახალციხე) 4:2.

ჯერ გააფრთხილეს, შემდეგ კი მოედნიდან გააძევეს კასპის „განთიადის" გუნდის წევრი მ. მაღლაფერიძე. გააფრთხილეს აგრეთვე თბილისის „სვიაზისტის" ფეხბურთელი ბ. სირაძე.

დასავლეთი ზონა

„რაჭა" (ამბროლაური) — „მეხალიჩე" (ცხაკაია) 2:0, „დინამო" (გაგრა) — „კოლმეურნე" (გულრიფში) 3:1, „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) — „ავტომობილისტი" (აბაშა) 2:0, „ნარუჯა" (მახარაძე) — „ოჯალეში" (ბანძა) 6:0, „ავტომობილისტი" (ბათუმი) — „კოლხიდმშენი" (ფოთი) 1:1.

ქუთაისის „იმერეთს" გამარჯვება ჩაეთვალა წულუკიძის „შრომით რეზერვებთან", ამ უკანასკნელის გამოუცხადებლობის გამო.

მინდვრიდან გააძევეს გულრიფშის „კოლმეურნეს" ფეხბურთელი ფ. ვალიანსკი და გააფრთხილეს მისივე თანაგუნდელი რ. ხასია.

ზონალური პირველობა

აღმოსავლეთი ზონა

„შრომითი რეზერვები" (ახმეტა) — „მევენახე" (სართიჭალა) 2:0, „შირაქი" (წითელწყარო) — „კოლმეურნე" (ვარკეთილი) 4:2, „ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „შრომითი რეზერვები" (ახმეტა) 2:0, „მევენახე" (სართიჭალა) — „შირაქი" (წითელწყარო) 6:0.

დასავლეთი ზონა

„სუბტროპ." (ზედა ეწერი) — „წინსვლა" (გეგუთი) 7:2, „კოლმეურნე" (კახათი) — „მერცხალი" (ნაგვაზაო) 3:2, „მევენახე" (ვანი) — „სალიბო" (ახუთი) 3:1, „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) — „კოლმეურნე" (დვაბზუ) 0:2, „კოლმეურნე" (დვაბზუ) — „მევენახე" (ვანი) 2:1, „მერცხალი" (ნაგვაზაო) — „სუბტროპ." (ზედა ეწერი) 3:4, „წინსვლა" (გეგუთი) — „ჩხერიმელა" (ორჯონიკიძე) 4:0, „სალიბო" (ახუთი) — „კოლმეურნე" (კახათი) 2:3.

გააფრთხილეს დვაბზუს „კოლმეურნეს" ფეხბურთელი ვ. დოლიძე და ახუთის „სალიბოს" ფეხბურთელი თ. შავდია.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

დასავლეთი ზონა

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხ."	23	17	4	2	54—18	38
„ამირ."	25	13	6	6	50—35	32
„სულ."	25	12	7	6	43—25	31
„სამეგ."	25	10	9	6	44—37	29
„მალარ."	25	10	8	7	28—29	28
„დინ."	25	11	5	9	46—37	27
„კოლ."	25	10	7	8	45—36	27
„ეგრისი"	25	9	7	9	34—40	25
„სალხ."	25	9	7	9	39—49	25
„შუქურა"	25	9	6	10	35—36	24
„მზიური"	25	9	6	10	33—34	24
„სამგ."	25	8	8	9	32—38	24
„გიგანტი"	25	5	13	7	26—31	23
„სქური"	24	7	7	10	32—37	21
„ეწერ."	25	8	5	12	35—40	21
„ჩიხურა"	25	5	11	9	23—35	21
„მექალ."	25	8	5	12	30—43	21
„იმერ."	25	7	6	12	39—47	20
„შახტ."	25	6	7	12	24—41	19
„ბახმ."	24	6	4	14	26—34	16

აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტ." ზ.	24	18	3	3	61—26	39
„ავტომ."	25	17	4	4	36—18	38
„ავიატ."	25	14	6	5	61—21	34
„ქართ."	25	14	6	5	60—39	34
„მეტ." რ.	25	12	7	6	53—28	31
„მადნ."	25	11	7	7	42—32	29
„სპ." თბ.	24	11	7	6	36—28	29
„ივერია"	25	9	8	8	42—46	26
„კახ."	25	10	4	11	31—43	24
ფიზ. ინ.	25	8	7	10	40—31	23
„ალაზ."	25	9	5	11	33—39	23
„თორი"	25	8	6	11	39—47	22
ასკ თბ.	24	8	6	10	36—39	22
„დურუჯი"	25	9	4	12	37—52	22
„პერ."	24	9	2	13	43—53	20
„სპ." ცხ.	25	7	5	13	38—43	19
პოლ. ინ.	24	6	7	11	20—31	19
„ალგ."	25	7	2	15	41—62	16
„აბული"	25	3	7	15	24—66	13
„არმაზი"	24	4	3	17	24—45	11

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

● ჭადრაკი

მუდამ საინტერესო დღე

მუდამ. საინტერესოა გადადებული პარტიების დამთავრების დღე. საინტერესოა რა მოამზადა მოიერიში მოჭადრაკემ, ან დაცვის როგორ გზას მიაგნო უარეს პოზიციაში მყოფმა მეტოქემ. მოულოდნელი ამბებიც ხდება თამაშის განახლებისას. ამიტომ მოსკოვის საზონათშორისო ტურნირზე გადადებული პარტიების დამთავრებას, რომელიც 3 ტურის შემდეგ გაიმართა, ყველა ინტერესით მოელოდა.

შვედმა უ. ანდერსონმა რა არ ილონა ფ. გეორგიუსთან (რუმინეთი) III ტურის პარტიაში უპირატესობის მისაღებად. ოსტატურად გამოიყენა უმცირესი შანსი და პარტიის გადადების წინ უკვე ზედმეტი პაიკი ჰქონდა. თამაშის განახლებისას ბევრი შრომა აღარ დასჭირვებია მისი რეალიზებისთვის .

მეორე გადადებულ პარტიაში იგი დაუზავდა ფილიპინელ რ. როდრიგესს. მესამე კი, ჰოლანდიელ ჯ. ვან დერ ვილთან, ველარ დაამთავრა. აქაც უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ თამაშისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა და პარტია კვლავ გადაიდო.

კუბელ დიდოსტატ გ. გარსიას ფავორიტად არავინ მიიჩნევდა. მისი პარტიები რაღაცნაირად „ჩრდილში“ მიმდინარეობდა. ამიტომ, როცა მან გადადებული პარტიების დღეს ზედიზედ სძლია ვან დერ ვილს, დ. ველიმიროვიჩს (იუგოსლავია) და ლიდერებს შეუერთდა, ყველას ყურადღება მიიპყრო. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ საზონათშორისო ტურნირში შემთხვევით მოხვედრილი მონაწილე არ არის.

როდრიგესმა მოუგო ვან დერ ვილს.

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. ტალი, გ. კასპაროვი, გ. გარსია, — 2,5-2,5 ქულა, ა. ბელიავსკი — 2, უ. ანდერსონი — 1,5 (1), ე. გელერი და რ. როდრიგესი — 1,5-1,5.

● ხელბურთი

უხეიროდ გამოვიდნენ

მინსკსა და კიევში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის საწყისი ეტაპის შეხვედრები. მინსკში ერთობ უხეიროდ გამოვიდნენ სპი-ის ხელბურთელები, რომლებმაც ხუთი შეხვედრიდან ერთი დაამთავრეს ფრედ და ოთხი წააგეს.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
ასკ მინ.	5	5	0	0	10
ცსკა	5	4	1	0	9
„გრანიტასი“	5	3	1	1	7
ზიი	5	3	0	2	6
სკიფი	5	3	0	2	6
საავ. ინსტ.	5	3	0	2	6
„კუნცევო“	5	2	0	3	4
„ნევა“	5	2	0	3	4
ასკ კ.	5	2	0	3	4
„ცელტნიექსი“	5	1	1	3	3
სპი	5	0	1	4	1
„პოლიოტი“	5	0	0	5	0

პირველი წრის დასკვნითი ეტაპი გაიმართება გლაზოვში, 23-30 სექტემბერს.

ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში

ΑΘΗΝΑ 82

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

ათენი. ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატში ჯილდოების ნახევარზე მეტი უკვე გათამაშდა. მოპოვებული მედლების მიხედვით ჯერჯერობით დამაჯერებლად ლიდერობს ევროპისა და მსოფლიო მძლეოსნობის შეუცვლელი ავტორიტეტი გდრ-ის ნაკრები.

კარგად გამოდიან საბჭოთა სპორტსმენებიც.

„... ეს იყო ძნელი ასპარეზობა, შესაძლოა ყველაზე ძნელიც კი ჩემი სპორტული ცხოვრების მანძილზე“, — განაცხადა ევროპის ჩემპიონმა სვეტლანა ულმასოვამ 3000 მეტრზე ფინალური გარბენის შემდეგ.

ანდიჟანელმა მორბენალმა ღირსეულად დაიცვა 1978 წელს პრაღაში მოპოვებული უძლიერესის ტიტული. ამისთვის სვეტლანას დისტანციის უფრო სწრაფად (8.30,28) დაფარვა დასჭირდა, ვიდრე ოთხი წლის წინათ. საბჭოთა სპორტსმენს ბოლო წრეზე კვალდაკვალ მისდევდა მსოფლიო ჩემპიონი კროსში რუმინელი მარიჩიკა პუიკა, მაგრამ სვეტლანამ ტემპს მოუმატა და გამარჯვებაც მას დარჩა. ფინიშის შემდეგ, სპორტსმენმა ფეხშიშველამ საპატიო წრე დაარტყა. „ასეთ წრფელ, გულკეთილ გულშემატკივრებს ნაკლებად შეხვდები“, — თქვა სვეტლანამ.

ევროპის ჩემპიონატში გამარჯვება ულმასოვამ მორბენლის პირველ საკავშირო დღეს უძღვნა. „როცა მე ვიმარჯვებ შეჯიბრებებში, ჩვენთან, ანდიჟანში, გამაჯანსაღებელი რბენის მოყვარულთა რიგები მორიგი წევრებით ივსება. ჩემი წარმატებით მე პროპაგანდას ვუწევ სირბილს, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს“ — თქვა ევროპის ჩემპიონმა.

5-საათიანი გამთანგველი ბრძოლის შემდეგ, ჭოკით მხტომელთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ა. კრუპსკიმ. მან პირველივე ცდაზე დაძლია 560 სმ სიმაღლე. „წაიფორხილა“ მხოლოდ 565-იან ზღვარზე. ალბათ აქაც მიაღწევდა საწადელს, მაგრამ როცა გადამწყვეტი ცდის გარბენი დაიწყო და გამარჯვებულთა დაჯილდოების მორიგი ცერემონიალის მაუწყებელი დაფდაფების ხმა გაისმა, მსაჯმა მას გზა გადაუღობა და ალექსანდრე ველარ განეწყო მაღალი ნახტომისათვის...

560 სანტიმეტრი — შედეგი, რომლითაც გაიმარჯვა ირკუტსკის სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა, 22 წლის სპორტსმენმა, ევროპის ჩემპიონატების რეკორდია. ასეთივე სიმაღლე დაძლია მსოფლიო რეკორდსმენმა, მოსკოველმა ვ. პოლიაკოვმა, მაგრამ მან ამ მიღწევას ერთი ცდით მეტი მოანდომა. ვლადიმერისათვის ვერცხლის მედალი ჯერჯერობით ყველაზე დიდი წარმატებაა მის სპორტულ გზაზე.

ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 27 წლის კიეველმა ი. სედიხმა უძლიერესის ტიტული მოიპოვა უროს ტყორცნაში — 81 მ და 66 სმ (ევროპის რეკორდი).

უროსმტყორცნელთა შეჯიბრების დამთავრების შემდეგ საპატიო კვარცხლბეკზე მხოლოდ საბჭოთა ათლეტები დადგნენ. ვერცხლის მედალი სსრ კავშირის ჩემპიონს ლენინგრადელ იგორ ნიკულინს (79,44 მ) ხვდა, ხოლო ბრინჯაოსი — მსოფლიო რეკორდსმენს სერგეი ლიტვინოვს (დონის როსტოვი) — 78,66.

ლენინგრადელმა ვასილი გრიშჩენკოვმა II ადგილი დაიკავა სამხტომის ოსტატთა შეჯიბრებაში — 17,15 მ. გაიმარჯვა კ. კონორმა (დიდი ბრიტანეთი) — 17.29.

3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში პირველი იყო პ. ილგი (გფრ) — 8.18,52.

50 კმ-ზე სპორტულ სიარულში ყველას აჯობა რ. სალონენმა (3:55.29), რომელმაც ფინეთის გუნდს ჩემპიონატის პირველი ოქროს მედალი შესძინა.

ქალთა 400 მეტრზე თარჯრბენში გაიმარჯვა შვედმა სპორტსმენმა ანლუიზ სკოგლუნდმა — 54,58. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო მეოთხე ადგილზე გასული ა. კასტეცკაია — 55,09.

ათენის ჩემპიონატი ბრწყინვალედაა ორგანიზებული — ასეთი აზრის არიან სპორტსმენები და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფი) გამოცდილი ხელმძღვანელები. „ჩემპიონატის ორგანიზატორები უსათუოდ ქებას იმსახურებენ,“ — აღნიშნა იააფის ტექნიკურმა დელეგატმა ა. ტაკაჩმა (იუგოსლავია). — ასეთ პირობებში სპორტსმენებს შეუძლიათ გამოავლინონ ყველა შესაძლებლობა“.

საბერძნეთის სპორტის მოყვარულთათვის ჩემპიონატის მეოთხე დღე ნამდვილი ზეიმი იყო: ევროპის ჩემპიონის წოდება პირველად მოიპოვა აქაურმა სპორტსმენმა. 26 წლის ანა ვეროული ღირსეული ჩემპიონი გამოდგა — მისი შუბი 70,02 მეტრზე „გაფრინდა“. ეს კი ევროპის რეკორდია.

ი. სედიხი.

ჩემპიონატის ტაბლო

ქალები. 200 მ რბენა 1. ბ. ვოკელი (გდრ) — 22,04; 2. ს. სმოლვუდი (ინგლისი)—22,13; 3. ს. რიგერი (გდრ) — 22,51.

400 მ. რბენა. 1. მ. კოხი (გდრ) — 48,15 (მსოფლიო რეკორდი); 2. ი. კრატოხვილოვა — 48,85; 3. ტ. კოცემბოვა (ორივე ჩეხოსლოვაკია) — 50,55.

800 მ რბენა. 1. ო. მინეევა — 1.55,41; 2. ლ. ვესელკოვა (ორივე სსრ კავშირი)— 1.55,96; 3. მ. კლინგერი (გდრ) — 1.57,22.

სიმაღლეზე ხტომა. 1. უ. მეიფარტი (გფრ) — 202 სმ (მსოფლიო რეკორდი); 2. ტ. ბიკოვა (სსრ კავშირი) —197 სმ; 3. ს. სიმეონი (იტალია) — 197 სმ.

ბადროს ტყორცნა. 1. ც. ხრისტოვა — 68 მ 34 სმ; 2. მ. პეტკოვა-ვერგოვა (ორივე ბულგარეთი) — 67 მ 94 სმ; 3. გ. სავინკოვა (სსრ კავშირი)—67 მ 82 სმ.

3000 მ. 1. ს. ულმასოვა (სსრ კავშირი) — 8.30,28; 2. მ. პუიკა (რუმინეთი) — 8.33,33; 3. ე. სიპატოვა (სსრ კავშირი) —8.34,06.

100 მ თარჯრბენი. 1. ლ. კალეკ-ლანგერი (პოლონეთი) — 12,45; 2. ი. დონკოვა (ბულგარეთი) — 12,54; 3. კ. კნაბე (გდრ) —12,54.

ვაჟები. 200 მ. 1. ო. პრენცლერი (გდრ) — 20,46; 2. კ. შარპი (ინგლისი) — 20,47; 3. ე. სკამრალი (გფრ) — 20,60.

400 მ. 1. ხ. ვებერი (გფრ) — 44,72; 2. ა. კნებელი (გდრ) — 45,29; 3. ვ. მარკინი (სსრ კავშირი) —45,30.

ჭოკით ხტომა. 1. ა. კრუპსკი— 560 სმ; 2. ვ. პოლიაკოვი (ორივე სსრ კავშირი) — 560 სმ; 3. ა. ტარევი (ბულგარეთი) — 560 სმ.

სიგრძეზე ხტომა. 1. ლ. დომბროვსკი (გდრ) — 841 სმ; 2. ა. კორგოსი (ესპანეთი) — 819 სმ; 3. ი. ლეიტნერი (ჩეხოსლოვაკია) — 808 სმ.

ბირთვის კვრა. 1. უ. ბეიერი (გდრ) — 21 მ 50 სმ; 2. ი. ბოიარსი (სსრ კავშირი) — 20 მ 81 სმ; 3. რ. მაჩურა (ჩეხოსლოვაკია) — 20 მ 59 სმ.

გუნდები და მედლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

ქვეყნები	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო
1. გდრ	10	6	5
2. სსრ კავშირი	3	8	5
3. გფრ	5	1	3
4. ჩეხოსლოვაკია	—	3	4
5. ინგლისი	2	3	—
6. ბულგარეთი	1	2	1
7. ესპანეთი	1	2	1
8. იტალია	1	1	1
9. პოლონეთი	1	1	1
10. ფინეთი	1	—	2
11. რუმინეთი	1	1	—
12. საბერძნეთი	1	—	1
13. შვეცია	1	—	1
14. საფრანგეთი	—	—	2
15. უნგრეთი	—	—	1

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, 37-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 2 (ბიატლონი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 24 (ხელბურთი), 31 (ფარიკაობა), 45 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 7 (კლასიკური ჭიდაობა), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა), 19 (თხილამურებით ხტომა), 34 (ბალახის ჰოკეი).

● რეგბი

ტურნირი დამთავრდა

მოსკოვში 10 სექტემბერს დამთავრდა რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა პირველმა ნაკრებმა ბოლო მატჩი წააგო პოლონეთის გუნდთან (12:15), მაგრამ მაინც I ადგილზე გავიდა. II ადგილზეა პოლონეთის ნაკრები. (საკდესი).

● ჰოკეი

პრიზი — საბჭოთა ნაკრებს

პრაღა. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა მოიგო „რუდე პრავოს“ ტურნირის მეორე მატჩიც. ამჯერად მან სძლია ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდს და ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა ამ ასპარეზობის მთავარი პრიზი. (საკდესი).

რეკორდები

ერევანში, ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 20 წლის ტალინელმა ერიკა სალუმიაემ 1000 მეტრზე სვლით გიტში მსოფლიო რეკორდი დაამყარა (1.12,365) და გააუმჯობესა მიღწევა, რომელიც 1965 წლიდან მოსკოველ ლ. ბროვინას ეკუთვნოდა (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 12 სექტემბერი. დინამოელთა?

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 12 სექტემბერი. დიმიტროვის სახ. სტადიონი. „ავიატორი“ (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი). დასაწყისი 18 ს. „სინათლის“ სტადიონი. პოლიტექნ. ინსტ. (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა). დასაწყისი 18 ს.

რესპუბლიკური სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში 13 სექტემბრიდან ცხადდება დამატებითი მიღება ცურვის მცოდნე ბავშვთა და მოზრდილთა გამაჯანსაღებელ ჯგუფებში.

მეცადინეობები ჩატარდება დილის, შუადღის და საღამოს საათებში.

მიმართვების გაცემა და აბონემენტების გაყიდვა იწარმოებს ყოველდღიურად 9-დან 21 საათამდე.

მისამართი: — ჭავჭავაძის პროსპექტი 49-ბ, ტელ. 22-61-00, 23-17-13.

13-18 სექტემბერს

თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი ველოსპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ დანიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის უძლიერესი ველომრბოლელები პროგრამაშია სპრინტერული და ჯგუფური რბოლა. დასაწყისი 17 საათზე.

ნარევი

მეტი რაღა ჯანი აქვთ...

განთქმული ინგლისელი მორბენალი, ოლიმპიური ჩემპიონი სებასტიან კოე და მისი საცოლე, ცნობილი მოთხილამურე ირენა ეპლე — 1980 წლის ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი — ფეხს ვერ დგამენ, ჟურნალისტებს რომ არ გადაეყარონ. კოემ განაცხადა, რომ ერთადერთი გამოსავალი ნახა. მან და მისმა საცოლემ სამ-სამი ორეული დაიქირავეს. ახლა ვინღა გაიგებს, რომელია ნამდვილი კოე და რომელი — მისი ორეული?

გაძარცვეს, მასხრადაც აიგდეს...

სანამ იტალიის პირველი ლიგის ფეხბურთელთა კლუბები „აველინო“ და „კომო“ კალენდარულ მატჩს თამაშობდნენ, „აველინოს“ გასახდელში ნიღაბაფარებული მძარცველები შეიჭრნენ. მათ მოიტაცეს ყველაფერი, რაც კი ოთახში იყო, იქვე მყოფ სათადარიგო მოთამაშეებს კი უთხრეს, თქვენც თან წაგიყვანდით, მაგრამ ისეთი სუსტი მოთამაშეები ხართ, გამოსასყიდს არავინ მოგვცემსო.

როცა მრჩეველს ტრავმა აქვს

აშშ-ის პრეზიდენტ რეიგანის ერთ-ერთი მთავარი მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში გახლავთ ჯეკ კამპი, წარმომადგენელთა პალატის წევრი ნიუ-იორკის შტატიდან. ეს კონგრესმენი ახალგაზრდობაში ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი იყო.

ამას წინათ გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა“ გამოაქვეყნა ასეთი შინაარსის წერილი:

— იმ ადამიანის კვალობაზე, რომელიც ფეხბურთს თავის ქალის მძიმე ტრავმის გამო გამოეთხოვა, ჯეკი ცუდად არ მოწყობილა. მაგრამ ამერიკის ეკონომიკისთვის მის მოღვაწეობას ცუდი შედეგები მოჰყვა. ჯეკი თავს კარგად გრძნობს, აი, ჩვენ კი ცუდად გვაქვს საქმე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები —93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08452